

OECD-ის მრგვალი მაგიდა V

ამა წლის 17-18 მაისს შედგა ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაციის მე-5 შემაჯამებელი კორპორაციული მართვის ევრაზიის მრგვალი მაგიდის სხდომა, სადაც საქართველოს დელეგაციამ ფასიანი ქაღალდების ეროვნული კომისიის, საქართველოს საფონდო ბირჟისა და საქართველოში ბიზნესის განვითარების პროექტის შემადგენლობით მიიღო მონაწილეობა.

შეხვედრაზე მოხდა წინა 4 კონფერენციის მონაპოვრის შეჯამება. შეგახსენებთ, რომ პირველი შეხვედრა მიეძღვნა კორპორაციული მართვის მიმოხილვას, მეორე – გამჭვირვალებასა და ღიაობას, მესამე – აქციონერთა უფლებებსა და თანასწორუფლებიანობას, ხოლო მეოთხე – სამეთვალყურეო საბჭოსა და დაინტერესებული მხარეთა როლს. ამათგან ერთ-ერთი შედგა თბილისში. შემაჯამებელ შეხვედრაზე წარმოდგენილი და განხილული იყო ევრაზიაში კორპორაციული მართვის შედარებითი მიმოხილვა, რომელიც გადმოსცემს ევრაზიის რეგიონში კორპორაციული მართვის განვითარების ტენდენციებს და ამავდროულად გამოყოფს იმ საკითხებს, რომელთა გადაწყვეტაა დღეს საჭირო ევრაზიის ქვეყნებში. მიმოხილვა განკუთვნილია, როგორც სახელმძღვანელო სახელმწიფოებისთვის კორპორაციული მართვის დარგში რეფორმების პროცესის დასაგეგმავად. იგი ასევე განსაზღვრავს რეფორმების პრიორიტეტებს რეგიონში.

ეს პრიორიტეტებია:

კერძო სექტორის განვითარება

ევრაზიის ქვეყნებისთვის მნიშვნელოვანია ძლიერი კერძო სექტორის განვითარება, რომელიც დაექვემდებარება კორპორაციული მართვის მაღალ სტანდარტებს. ამაში იგულისხმება პრევატიზაციის გააქტიურება; სახელმწიფო საკუთრებაში არსებული ქონების უკეთეს მართვა, რისთვისაც ეთგო ავითარებს სპეციალურ პრინციპებს და წილების კონსოლიდაცია სამართლიანი პროცესის მეშვეობით. ეს უკანასკნელი მოთხოვნა ლისტინგის კომპანიებს ეხება. სავარაუდოდ გარკვეული პერიოდი სააქციო საზოგადოებათა მფლობელობა ამ რეგიონში კონცენტრირებული დარჩება პრივატიზაციის შედეგად შექმნილი წვრილი აქციონერების მონაწილეობით. აქედან გამომდინარე, კანონმდებელმა უნდა შეუქმნას კომპანიებს პირობები, რათა წვრილი აქციების გამოსყიდვა მოხდეს მაქსიმალურად გამჭვირვალედ და აქციონერების უფლებების დაცვით.

გამჭვირვალობა და გაცხადება

ევრაზიაში, მაკონტროლებელი აქციონერების გაბატონებული როლი დაკავშირებულია სხვადასხვა რისკთან. გაუმჯობესებული გამჭვირვალობა და ღიაობა გადამწყვეტია აქციონერების უფლებების დარღვევის აღმოსაფხვრელად და დახვეწილი კორპორაციული მართვის არსებობისათვის. ცნობილია, რომ ევრაზიის კანონმდებლობებისთვის გამჭვირვალობა და ღიაობა წარმოადგენს კორპორაციული მართვის ყველაზე სუსტ მხარეს.

ევრაზიის საკანონმდებლო და მარეგულირებელმა ორგანოებმა უნდა უზრუნველყონ საკუთრების სტრუქტურის გამჭვირვალობა. კორპორაციული მართვის სისტემა და პრაქტიკა უნდა იყოს მენეჯერისა და მაკონტროლებელი ინვესტორების გადაწყვეტილებებისა და ქმედებების გამჭვირვალობის გარანტი. იმისათვის რომ, ამგვარი მიდგომა ეფექტიანი გახდეს, საჭიროა დაინერგოს ადეკვატური სამართლებრივი მექანიზმები, რომლებიც გამორიცხავს საკუთარი ინტერესებისთვის გარიგების დადების შესაძლებლობას და გააკონტროლებს მსხვილ აქციონერთა საქმიანობას.

დანერგვა და განხორციელება

ევრაზიაში კანონის იმპლემენტაციის სისუსტე და ასევე კანონის უზენაესობის არარსებობა, არის ცენტრალური დაგეგმარებისა და გარდამავალი პერიოდის შედეგი. კანონის წარმატებული აღსრულებისთვის, საჭიროა ხელისუფლების მაღალი რგოლების მდგრადი პოლიტიკური ნების არსებობა, რათა ჩამოყალიბდეს საზოგადოების რწმენა რეფორმაში.

კანონის ავტორიტეტი ევრაზიაში ასევე დამოკიდებულია მარეგულირებელი უწყებების გაძლიერებულ მანდატზე და განსაკუთრებით, ფასიანი ქაღალდების სფეროს მარეგულირებლის სიძლიერეზე. გარდამავალი ეკონომიკის მქონე ქვეყნების გამოცდილებამ გვიჩვენა, რომ მარეგულირებელი ორგანოები აქციონერების ინტერესების მთავარი დამცველები არიან.

სასამართლო სისტემა წარმოადგენს ქვაკუთხედს კანონის სათანადო აღსრულებისთვის. ევრაზიაში განსაკუთრებულ ყურადღებას მოითხოვს: სასამართლო სისტემის დამოუკიდებლობის გაზრდა, მოსამართლეების ცოდნისა და კომპეტენციის ამაღლება კომპანიებთან ურთიერთობისას, მოსამართლეთა სპეციალიზების წახალისება. მოსამართლემ უნდა მიიღოს ადეკვატური ანაზღაურება, რათა მოხდეს დამოუკიდებელი, განათლებული და გამოცდილი კადრების მოზიდვა.

აქციონერთა უფლებების დაცვა

საკუთრების ეფექტური სტრუქტურით, რომელიც გულისხმობს აქციონერთა უფლებების დაცვას კომპანიის მანეჯმენტს ექნება სტიმული მოახდინოს კომპანიის რესტრუქტურაცია, გააუმჯობესოს მისი საქმიანობა და შეუდგეს ინვესტიციების მოზიდვას. აქციის გაყიდვის უფლება არის ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი იარაღი იმ აქციონერებისათვის, რომელთაც არ ძალუძთ იყვნენ ეფექტური მებატრონეები. ჩვენს რეალობაში, აქციონერებს ამის საშუალება არა აქვთ. კონტროლის მოპოვების მიზნით გარიგებების დროს, როდესაც ინვესტორი აქციების გარკვეულ წილზე მეტს ყიდულობს, კანონმდებლობა მას უნდა ავალდებულებდეს დანარჩენი აქციების შესყიდვას. ასეთი ტიპის პროცესები, ზოგჯერ ერთადერთ გზას წარმოადგენს, მცირე პაკეტის მქონე აქციონერებისათვის, რათა მათ შესძლონ თავიანთი აქციების სამართლიან ფასებში გაყიდვა ევრაზიის არამყარ ბაზრებზე.

აქციონერთა საერთო კრებებთან დაკავშირებული მუხლების გაუმჯობესების საჭიროება, სახელმწიფო უნდა მოქმედებდეს არსებული კანონმდებლობის ფარგლებში და სახელმწიფოს წარმომადგენლებმა თავი უნდა შეიკავოს კომპანიის ყოველდღიურ ბიზნეს ოპერაციებში და საქმიანობაში ჩარევისგან, რაც შეიძლება იყოს წამგებიანი სხვა ინვესტორების, განსაკუთრებით კი მცირე პაკეტის მქონე აქციონერებისათვის.

უმცირესობაში მყოფ აქციონერთა უფლებების დაცვა

თუ კანონი კარგად არ მუშაობს, აქციების მქონე, ან არამქონე მენეჯერებს, შეუძლიათ გააძევიონ მცირე პაკეტების მქონე აქციონერები, რომლებმაც თავის დროზე აქციები შეიძინეს მასობრივი პრივატიზაციით ან თანამშრომლებისათვის აქციების დარიგების გზით.

აქციონერები, რომელთა უფლებებიც დაირღვა და/ან განიცადეს ფინანსური დანაკარგი უნდა იყვნენ უზრუნველყოფილნი კერძო და კოლექტიური სარჩელის უფლებით მაკონტროლებელი აქციონერებისა და დირექტორების წინააღმდეგ.

აქციების პაკეტის სიმცირე, არ აძლევს აქციონერებს სტიმულს მონაწილეობა მიიღონ კორპორაციულ მართვაში. სასურველია ახლად წარმოქმნილმა ინსტიტუციონალურმა ინვესტორებმა, რომლებშიც შეიძლება შედიოდნენ უცხოელი ინვესტორები, მოახდინონ თავიანთი მფლობელობის პოლიტიკის ფორმულირება და განსაჯაროება.

სამეთვალყურეო საბჭოს როლი

ხშირად, საბჭოს წევრები არიან დამოკიდებულნი კომპანიაზე და მსხვილ აქციონერებზე, რაც პრობლემებს უქმნის მცირე პაკეტების მქონე აქციონერებს.

ადეკვატური ანაზღაურება და ძალაუფლება მენეჯმენტთან მიმართებაში უზრუნველყოფს ევრაზიის საბჭოების განმტკიცებას.

ბანკების მმართველობის გაუმჯობესება

ევრაზიის კორპორაციები უფრო შიდა გენერირებულ თანხებს ან ბანკებს ეყრდნობიან, ვიდრე კაპიტალის ბაზრებს. სესხით დაფინანსება მოკლევადიან პერსპექტივაში იქნება გარე დაფინანსების ყველაზე გავრცელებული წყარო ევრაზიაში. თუ ბანკები თანხების ეფექტურ მობილიზაციას და განაწილებას მოახდენენ, ეს შეამცირებს კაპიტალის ღირებულებას კომპანიისათვის.

მეორეს მხრივ, ბანკების სუსუტი მმართველობა ნეგატიურად ისახება ეკონომიკის განვითარებაზე. საჭიროა ჩამოყალიბდეს კანონიერი, მარეგულირებელი, მაკონტროლებელი პოლიტიკა, რომელიც გააძლიერებს საბანკო მმართველობას. განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს ბანკის აქციონერების შესაძლებლობებსა და სტიმულს, იქონიონ გავლენა ბანკის ხელმძღვანელობაზე, რათა არ იყვნენ შევიწროებულნი იმ საერთო უფლებებში, რომელიც ორივე მხარეს თანაბრად გააჩნია.

ევრაზიაში კორპორაციული მართვის რეფორმების სერიოზული მოთხოვნაა. ამისათვის საჭიროა: პოლიტიკური ნება, გრძელვადიანი ხედვა და რესურსები რომ დაიძლიოს ინტერესთა ჯგუფების მნიშვნელოვანი წინააღმდეგობა.

კორპორაციული მართვის გაუმჯობესებამ უნდა გამოიწვიოს ინვესტორთა ნდობისა და ინტერესის მოპოვება და ხელი შეუწყოს ეკონომიკის მდგრად განვითარებას რეგიონში. ეთგოს შეხვედრამ კიდევ ერთხელ დაგვარწმუნა, რომ აუცილებელია საქართველოში კორპორაციული მართვის კანონმდებლობის დახვეწა და კორპორაციული მართვის კოდექსის შემუშავება. ჩვენი აზრით, აუცილებელია საქართველო არ ჩამორჩეს მსოფლიო განვითარების ტენდენციებს და გაითვალისწინოს ეთგოს რეკომენდაციები კანონმდებლობის გადახედვისას.

ირინა ბორდელაძე